ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ

აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ - ტერიტორიულ საზღვრებში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის წლიური ანგარიში

(2016 წლის 10 დეკემბრიდან 2017 წლის 10 დეკემბრამდე)

ა) სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციაში 2016 წლის 10 დეკემბრიდან 2017 წლის 10 დეკემბრამდე პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოვიდა 26 (ოცდაექვსი) განცხადება. მათ შორის მოთხოვნის შესაბამისად 19 (ცხრამეტი) განცხადება დაკმაყოფილდა სრულად, 7 (შვიდი) შემთხვევაში კი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციაში შემოსული განცხადებების საერთო რაოდენობიდან 19 (ცხრამეტი) შემთხვევაში დაინტერესებული პირი იყო არასამთავრობო ორგანიზაცია, 5 (ხუთი) შემთხვევაში კი მოქალაქე, ხოლო 2 (ორი) მოთხოვნა შემოვიდა საჯარო დაწესებულებიდან. არასამთავრობო ორგანიზაციებიდან შემოსული 19 (ცხრამეტი) განცხადებიდან 5 (ხუთი) შემთხვევაში განმცხადებელი წარმოადგენდა ბეჭდურ მედიას.

ბ) 2016 წლის 10 დეკემბრიდან 2017 წლის 10 დეკემბრამდე პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით 8 (რვა) განმცხადებელს ეცნობა წერილობით ათდღიანი ვადის განსაზღვრის შესახებ, ხოლო 18 - ზე (თვრამეტი) დაუყოვნებლივ გაიცა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია.

გ) 2016 წლის 10 დეკემბრიდან 2017 წლის 10 დეკემბრამდე პერიოდში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციაში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე წერილობით მოთხოვნას ადგილი არ ჰქონია.

დ) სახელწიფო რწმუნებულს – გუბერტნატორს განკარგულების საფუძველზე დადგენილი აქვს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნანა კაკაჩია.

ე). საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაცია ეყრდნობოდა ,,საქართველოს კონსტიტუციასა“ - და ,,საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს“ , ასევე, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს.

ვ) ადმინისტრაციაში ფუნქციონირებს საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა (eDocument), შესაბამისად საჯარო მონაცემთა ბაზის შექმნა ავტომატურ რეჟიმში ხორციელდება აღნიშნულ პროგრამაში.

ზ) სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის თანამშრომლების მხრიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ გამოვლენილა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-3 თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელების დადების არცერთი ფაქტი.

თ) ადმინისტრაციის მიერ ინფორმაციის გაცემის , აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებას ადგილი არ ჰქონია.

ი) სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციაში საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით ხარჯების გაწევის აუცილებლობა არ წარმოშობილა.